როგორს ვხედავთ დღეს ჩვენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს?



დარკო ჯოგო, სტავროფორული დეკანოზი, ღვთისმეტყველების მეცნიერების დოქტორი, წმ. ვასილი ოსტროჟელის სახ. აღმოსავლეთ სარაევოს უნივერსიტეტის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ფაკულტეტის პროფესორი.

ახლახან სერბულ ენაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში მე გამოვთქვი ძალიან მარტივი აზრი, რომელიც ბევრ ადამიანს საინტერესოდ მოეჩვენა: „ფანარიონი დღეს უნდა აღვიქვათ უფრო როგორც აშშ-ს დეპარტამენტის ოფისი, ვიდრე როგორც ადგილობრივი ეკლესია“. თუმცა ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა და ნაცნობმა ჩემი ყურადღება მიაქცია გამოთქმული პოზიციის მკვეთრ სიმძაფრეზე.

„ნუთუ ეს ზედმეტად მკაცრი მსჯელობა არ არის მოწამე ეკლესიის მიმართ, რომელიც თავად არსებობს ამჟამად ფრიად არა სასურველ ვითარებაში?“. ჩვენ ვცხოვრობთ პოსტმოდერნისტული კონტრასტის დროში: თანამედროვე ურთიერთობის კულტურაში თანამოსაუბრეს ხშირად მოეთხოვება გარკვეული დახვეწილობა, ევფიმენიზმისა და არაორაზროვანი ფრაზებისადმი მიდრეკილება, მაშინ, როდესაც საჯარო დისკურსში სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის, წარმოუდგენლად უცენზურო ლექსიკა. ამიტომ მე ვამჯობინებ ჭეშმარიტებასთან ჟამითი-უჟამოდ ურთიერთობას, როგორც არისტოტელე იტყვის: ვლაპარაკობ იმის შესახებ, რაც არსებობს, და არა – რაც არ არსებობს. ამრიგად, საკითხი, ჩემი გამოთქმის სისწორის შესახებ, დევს არა „ნორმალურობასა“ და „კონვენციებში“, არამედ ნათქვამის ადეკვატურობაში იმის საწინააღმდეგოდ, რაც არის ჭეშმარიტება.

როგორ წარმოგვიდგება ჩვენ დღეს კონსტანტინეპოლი? რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრები და ნაცნობები, რომლებსაც ჯერ ისევ აწუხებთ აზრი და მოქმედება პატრიარქ ბართლომეოსისა და სხვა ფანარიონელი სანოვნიკებისა, ამჯობინებენ ფანარიონის ისეთ წარმოდგენას, როგორც მას ყველაზე ხშირად გამოხატავენ სხვები: ეს არის ისტორია წმინდა ანდრია მოციქულის ძველი კათედრისა, ადგილობრივი ეკლესიისა, რომელიც უწყვეტად არსებობს აგერ, თითქმის, ორი ათასწლეული. რა თქმა უნდა, ნებისმიერი, მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ზედაპირულად მცოდნეც კი, შეძლებდა სამართლიანად შედავებოდა ფანარიონის მეხოტბეებს: ბოლომდე არასდროს ყოფილა გასაგები, თუ მაინც როგორი დამოკიდებულება აქვს კონსტანტინეპოლის კათედრას საკუთარი ისტორიის საკმაოდ ბნელ ფურცლებთან, – იმ პერიოდთან, როცა პატრიარქ ბართლომეოსის ტახტზე მწვალებლობის შემქმნელები იჯდნენ?

პატრიარქი ბართლომეოს I

წმინდა მოციქული ანდრია
პირველწოდებული. წიგნის
მონიატურა, ბიზანტია, XII ს.

თუ ამ კითხვაზე პასუხი, ვთქვათ, უბრალოდ უარყოფითია, თუ ჩვენ ვგულისხმობთ ნესტორის ან პიროსს, მაშინ როგორ აფასებს დღევანდელი ფანარა, ვთქვათ, იმ პატრიარქებს, რომლებსაც კოსტანტინეპოლის კათედრა ეპყრათ 1439 წლის ფლორენციის კრებასა და 1453 წელს კოსტანტინეპოლის დაცემამდე პერიოდში? საინტერესო ისტორიულ პერსპექტივას გვთავაზობს ჩვენ შემდეგი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა გენადი სქოლარიოსმა კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ საბოლოოდ შეწყვიტა თავისი წინამორბედების უნიატური პოლიტიკა, თავად კათედრამ არ შეინყნარა რუსეთის ეკლესიის გადაწყვეტილების კანონიერება, გამოყოფილიყო ცდომილებაში აღმოჩენილი კონსტანტინეპოლისგან უნიატური მმართველობის პერიოდში. არიან თუ არა დღევანდელი კონსტანტინეპოლელი პატრიარქები იმ რომთან ერთობაში გარდაცვლილი პატრიარქების მემკვიდრენი? თუმცა, შესაძლოა, ფანარიონის დღევანდელი ეკლესიურ-პოლიტიკური ხაზი სავსებით შეესაბამებოდეს იმ პოზიციას, რომლის

თანახმადაც კათედრა წარმოადგენს პატრიარქ-უნიატების ლეგიტიმურ მემკვიდრეს.

ფლორენციის უნია, 1439 წ.

სულთანი მეჰმედ II პატრიარქ გენადის გადასცემს
საპატრიარქო პრივილეგიების დამადასტურებელ ფირმანს

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება ფანარიონის დღევანდელ არსსა და მისიას. ამის შესახებ თავად ბერძნები ლაპარაკობენ. ეს მისიაა – ბერძნული კულტურის ერთობისა და თაობების (გენოსის) განვითარება და შენარჩუნება. როდესაც მე ბერძნებს ვეკითხები, რომლებიც საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ პატრიარქ ბართლომეოსის ქმედებებს, თუ რატომ არ წყვეტენ ერთობას ადამიანებთან, ვინც საკუთარ სიტყვებს ეწინააღმდეგებიან, ისინი ხშირად მპასუხობენ, რომ იციან ფანარიონის არასწორი პოლიტიკის შესახებ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მათთან ზიარების გაწყვეტა – ეს იქნებოდა იმ ბერძნული სამყაროს დეზინტეგრაცია, რომლისთვისაც ფანარიონი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ნიშანია, ერთი, მაგრამ, შესაძლოა – უმნიშვნელოვანესი ბერძენთა იდენტიფიკაციისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი პოზიცია სავსებით გასაგებია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ასევე ნათელია, რომ არანაირი „მსოფლიო საპატრიარქო“ არ შეიძლება არსებობდეს, არამედ არის „პანელინის საპატრიარქო“. ფანარიონის მზადყოფნა, გააცამტვეროს ორი სლავური ეკლესიის – სერბეთის პეჩის საპატრიარქოსა და ოხრიდის სამთავარეპისკოპოსოს – თავისუფლება 1766-1767 წწ. ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლების ქვეშ, მოწმობს რომ მისი იდენტიფიკაციის ეს ფენა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში წარმოადგენს გარკვეული პროცესებისა და პროცედურების განსაკუთრებით მნიშვნელოვან გასაღებს. რა თქმა უნდა, დღევანდელი ფანარიონი მიდრეკილია არა მხოლოდ ფაქტების სელექტიურ მოხსენიებისკენ (მაგალითად, სლავური ეკლესიებისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, ამასთან, ავიწყდება, რომ ის თავად ცდილობდა ამ ეკლესიების სრულ ლიკვიდაციას), არამედ გარკვეული ენისკენაც („დედა ეკლესია“ – „ასული-ეკლესია“). ასე რომ, ფანარიონის ეს პანელინური იდენტიფიკაცია ნიშნავს, რომ ჩვენ ისტორიაში უკვე ვიხილეთ ანტისლავური განწყობებისა და ქმედებების მაგალითები და ამიტომ არ გაგვიკვირდება,

თუ კვლავ დავინახავთ.

პეჩის საპატრიარქო მონასტერი

ოხრიდის სამთავარეპისკოპოსი 1020 წ.

ფანარიონის ოფიციალურ ისტორიკოსებს დღეს ცინიკური ხედვა აქვთ საკუთარ ისტორიაზე, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ უბედურებები, რომლებიც მოეწია მოციქულთა ისტორიულ კათედრას ოსმალეთის უღლის დროს, და მოსკოვის მეფეების უხვი დახმარება, წარმოადგენდა საკმარის და საპატივცემულო მიზეზს იმისათვის, რომ დაეთმოთ, უფრო ზუსტად კი, იჯარით დადაეცათ კიევის კათედრა მოსკოვისათვის იმ დრომდე, სანამ თურქოკრატია და ავტოკრატია იარსებებდა.

საკუთარი ისტორიის ამ ვერსიის თანახმად, რომელიც თავად ფანარიონში აღმოცენდა, მორალური თვალსაზრისით აბსოლუტურად ნორმალური იყო მოსკოვისთვის დაებრალებინა „კანონების დარღვევა“ იმ პირობებში, თუ მას ექნებოდა ფულადი სახსრები ამისათვის! შეიძლება თუ არა სხვა ვინმეს სიტყვა უფრო დამაჯერებელი იყოს ფანარიონისთვის?

არის თუ არა სხვა რამ, რასაც უფრო ნათლად შეუძლია გვიამბოს სირცხვილის ნატამალისა და მორალური სტანდარტის არარსებობაზე ფანარაში, იქ გამეფებულ ბურუსზე? ნაკლებად სავარაუდოა. გარდა ამისა, ფანარიონი იქცევა სწორედ, როგორც „ერთადერთი მისამართი" დღეს მსოფლიო მართლმადიდებლობაში, როდესაც საქმე ეხება „ქსელურ", ანუ გლობალურ სტრუქტურებს. ალბათ, საუბარია არა მსოფლიო, არამედ „გლობალურ საპატრიარქოზე". ამ სიმბიოზის მიზეზები მრავალ ასპექტში არსებობს. მეორე რომმა, პირველის მსგავსად, გადაწყვიტა, პატივისა და სიყვარულის პირველობა ძალაუფლების პირველობად ექცია. ვერავინ იპოვის ამის გამართლებას ვერც მართლმადიდებლური ეკლესიის არსში (რომლის კრებსითობაც ეწინააღმდეგება მასში „პაპიზმის“ ყოველგვარ გამოვლინებას), ვერც ამ კრებსითობის არსიდან გამომდინარე კანონებში. ამიტომ

ძალაუფლება, რომელსაც ფანარი ხაპავს გავლენის გლობალური ცენტრებიდან, არის „ნასესხები", ანუ ისეთი, როგორსაც თქვენ ვინმე გაძლევთ გარკვეულ ფასად. ამ ძალაუფლების ფასს კი ჩვენ უკვე ვხედავთ უკრაინაში. იგი გადახდილია ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის ტანჯვით.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფანარიონის ნამდვილი სამწყსოს უზარმაზარი ნაწილი შედგება მდიდარი ბერძნული ემიგრაციისგან, განსაკუთრებით მისი პლუტოკრატიისგან, რომელიც სრულად არის ინტეგრირებული ყველა დასავლურ პროექტში. განმანათლებლობისა და მასონობის ხანიდან „ახალ მსოფლიო წესრიგამდე", სხვადასხვა გემთმფლობელები და ვაჭრები, „მართლმადიდებელი" ქველმოქმედები და ფანარიონის სპონსორები მონაწილეობენ, – როგორც წმინდა იუსტინე პოპოვიჩმა გამოთქვა – „ევროპაში ქრისტეს გარეშე, არიანულ ცივილიზაციაში". ამიტომ ნატოსა და მართლმადიდებლობის ამ სიმბიოზს შეუძლია მხოლოდ განადგურებამდე მიგვიყვანოს: როგორც ჩვენ, ვინც თავდასხმებს განვიცდით, ისე თავად ფანარიონიც.

ფანარიონის ღვთისმეტყველება მთლიანად გადაიქცა ერთგვარ იდეოლოგიად, რომელშიც „ახალი მსოფლიო წესრიგის" თითოეული სოციალური პროგრამა თავის „თეოლოგიურ" დასაბუთებასა და გამართლებს პოულობს. იქნება ეს გენდერულ და გენდერულ იდენტურობასთან დაკავშირებული ცვალებადი დამოკიდებულება, თუ ამერიკული სოციალური პოლიტიკის რთული პრობლემები ან „მწვანე პატრიარქის“ წინწაწევა – ფანარიონი ყოველთვის ერთ ხაზზეა ხოლმე „ღრმა სახელმწიფოსთან“, – შეგნებულად და ამაყად. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ფანარიონი არის იდეოლოგიური განყოფილება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა, უფრო შეურაცხყოფს ადამიანებს, რომლებიც ფანარიონმა განსწავლა ჩვენს ადგილობრივ ეკლესიებში, ვიდრე ბერძენ მიტროპოლიტებს, რომლებიც თავიანთ განცხადებებს და თავიანთ „თეოლოგიას“ ვაშინგტონიდან მომავალი იდეოლოგიური და პოლიტიკური კურსის შესაბამისად აწყობენ.

მაშ, როგორი დამოკიდებულება გვმართებს დღეს ფანარიონთან? უნდა დავინახოთ თუ არა მასში ძველი პატრიარქი, პანელინური დაწესებულება თუ სახელმწიფო დეპარტამენტისგან პირდაპირ კონტრილირებადი ოფისი მართლმადიდებელი ეკლესიის გასანადგურებლად?

იოანე ოქროპირი.
წიგნის მინიატურა, სებერძნეთი, XVII ს.

ფოტიოს I (კონსტანტინეპოლის პატრიარქი)

დღეს ფანარიონის ნაცვლად მისი საქმეები ლაპარაკობს. ამჟამად ის მოქმედებს როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის ოფისი, იგი რეალიზებას უკეთებს ამ დღის წესრიგს საბერძნეთის ეკლესიებში პანელინური ინსტიტუტის ავტორიტეტის წყალობით და ყველაფერს ძველი საპატრიარქოს სახით ნიღბავს. და ეს მთელი სიმართლეა. როდესაც თავად პატრიარქი ბართლომეოსი და მისი მიმდევრები უარს იტყვიან ასეთ საქციელებზე და დაგვარწმუნებენ ჩვენ, რომ ისინი, პირველ რიგში, არიან მართლმადიდებლობის დამცველები, ქრისტეს ტანჯვისა და აღდგომის მოწმენი, ღირსი მემკვიდრენი წმინდა იოანე ოქროპირის, ფოტიოს კოსტანტინეპოლის ან უკიდურეს შემთხვევაში, დიდი პატრიარქების – მაშინ ისინი ჩვენში ისეთ ძმებს იპოვიან, როგორებიც დაგვტოვეს, როდესაც იმ გზას დაადგნენ, რომლითაც დღეს მიდიან.

რუსულ ენაზე თარგმნა მილა მატიჩიმ

წყარო: https://mospat.ru/ge/authors-analytics/88130/